გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №68

2026 წლის 13 მარტი

ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია მერის ინიციატივა, რომლითაც მოთხოვილია სოფელ მეჯვრისხევში უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს – გზის მონაკვეთს, რომლის სავარაუდო სიგრძეა 631,51 მ, კოორდინატებია: საწყისი: X=431538,25 Y=4660888,73 საბოლოო: X=432048,41 Y=4661221,60, გზას ჩრდილოეთით ესაზღვრება ნაკვეთები: 66.53.16.782, 66.53.16.843, 66.53.16.948, სამხრეთით – ნაკვეთები: 66.53.16.947, 66.53.16.003, 66.53.16.739 აღმოსავლეთით –უსახელო ქუჩა, დასავლეთით ნაკვეთები: 66.53.16.387, ეწოდოს 43-ე ქუჩა.

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილები მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, მიზანშეწონილია საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ მე-8 მუხლის მე-7, მე-8 პუნქტების, მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად,

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს – გზის მონაკვეთს, რომლის სავარაუდო სიგრძეა 631,51მ, ეწოდოს 43-ე ქუჩა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **მარლენ ნადირაძე**